

რა უნდა ვიცოდეთ ეპილეფსიის შესახებ?

ქრონიკული ნევროლოგიური მდგომარეობებიდან ეპილეფსია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. საქართველოში ეპილეფსიის გავრცელების მაჩვენებელია 5-6 დაავადებულია ყოველ 1000 მოსახლეზე (დაახლოებით 40 000). ავადობა ყველაზე ხშირია ადრეული ბაქტერიალისა (3 წლამდე) და სასკოლო ასაკის (7-16 წლის) ბავშვებში. ამასთან, დაავადებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის გულერებიდან ადეკვატური ანტიეპილეფსიური მკურნალობა ყველაზე ეფექტურია სასკოლო ასაკში დაწყებული გამოლეფსიური გულერების შემთხვევაში. ასეთი ბავშვების 90-95%-ი შემდგომში ფსიქო-სოციალურად სრულფასვან პიროვნებად ყალიბდება და მათი 80-85% სრული გამოჯანმრთელების კანდიდატია თუ:

- დაავადების სწორი დიაგნოზი დროულად დგინდება;
- ბავშვი ღებულობს ადეკვატურ ანტიეპილეფსიურ პრეპარატს;
- მკურნალობის პროცესი ხორციელდება პროფესიონალთა მეთვალყურეობით;
- დაცულია წამლის მიღების ჯერადობის რეჟიმი;
- დაავადებული იმუოფება ადეკვატურ ფსიქო-სოციალურ გარემოში (ოჯახი, სკოლა).

დაავადების სწორი დიაგნოსტირება, ადეკვატური ანტიეპილეფსიური პრეპარატის შერჩევა და მკურნალობის მონიტორინგი ეპილეფტოლოგისა და პჯდ-ს პროფესიონალების პრეროგატივაა; რაც შეეხება დაავადების დროულ დიაგნოსტიკას, მკურნალობის რეჟიმის დაცვასა და დაავადებულისათვის შესაფერისი ფსიქო-სოციალური გარემო პირობების შექმნას, აღნიშნული საკითხების გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ბავშვის ოჯახის წევრებს, სკოლის მასწავლებლებსა და ფსიქოლოგებს.

მასწავლებელი ის პიროვნებაა, ვისაც მშობლის შემდეგ ყველაზე ხშირი ურთიერთობა აქვს ბავშვთან. მასწავლებელი განუზომელ გავლენას ახდენს ბავშვის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაზე; მის ხელთაა ბავშვის ნიჭისა თუ უნარების გამოვლენა და განვითარება.

ეპილეფსიის არმქონე, თუ ეპილეფსიით დაავადებული ყველა ბავშვი უნიკალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ინდივიდუალობის პატივისცემას. მასწავლებელი ზრუნავს ყოველი ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარებისა და რეალიზაციისათვის; ამ მხრივ, ეპილეფსიით დაავადებული ბავშვი გამოინაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს.

ეპილეფსიის მქონე ბავშვის სწავლებისა და განვითარების შესაფერისი პირობების უზრუნველსაყოფად მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობისა და თვით ეპილეფსიის შესახებ. კერძოდ გათვითცნობიერებული უნდა იყოს თუ:

- რა არის ეპილეფსია?
- როგორია კონკრეტული ბავშვის ეპილეფსიის მიმდინარეობისა და მკურნალობის სპეციფიკა?
- როგორ გავლენას ახდენს ეპილეფსია ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე, ემოციურ, სოციალურ, თუ ფიზიკურ განვითარებაზე?

სიტყვა „ეპილეფსია“ წარმოსდგება ბერძნული სიტყვისგან „epilembanein“ და ნიშნავს „მოულოდნელობით შეპყრობილს“. ასეთი სახელწოდება დაავადებამ შეიძინა მისთვის დამახასიათებელი სიმპტომის – ეპილეფსიური გულერის გამო, რომელიც დაავადებულს შეიძლება განუვითარდეს უცრად, ნებისმიერ ასაკში, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას. ეპილეფსიას უძველესი ისტორია აქვს და ყოველთვის იყო გარემოცული მრავალი ცრურწმენით, რომლებიც დღესაც ხშირად გვხვდება საზოგადოებაში:

- ეპილეფსია იშვიათი დაავადებაა;
- ეპილეფსია გადამდებია;
- ეპილეფსია მხოლოდ ბავშვებს ემართებათ;
- ეპილეფსიის მქონე პირები უნარშეზღუდულები არიან და სწავლა არ შეუძლიათ;
- გულერის დროს ადამიანმა შეიძლება ენა გადაყლაპოს და სხვა მრავალი.

ასეთი შეხედულებები სუბიექტურია და სინამდვილეს არ შეეფერება.

რეალურად, ეპილეფსია თავის ტვინის ქრონიკული დაავადება, რომელიც მიმდინარეობს როგორც კრუნჩხვითი, ისე მრავალნაირი არაკრუნჩხვითი გულეყრებით. არაკრუნჩხვითი გულეყრები შეიძლება გამოვლინდეს ცნობიერების ხანმოკლე (5-10 წათ) დათრგუნვით, უცვარი ხანმოკლე აგზნებით, მზერის ხანმოკლე გაშტერებით. ასეთი შეტევები ძირითადად დღის პირველ ნახევარში, ბავშვის სკოლაში ყოფნის დროს ვითარდება. შეტევის დროს ბავშვმა, შეიძლება, მასწავლებლის შეკითხვა უპასუხოდ დატოვოს, ან არადეკვატური და გაუგებარი პასუხი გასცეს. ამ სიმპტომებს პირველად, ხშირად, სწორედ მასწავლებელი ამჩნევს. მათ დროულ ამოცნობას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ეფექტური მკურნალობისა და სრული გამოჯანმრთელებისათვის.

ხანმოკლე შეტევები ბავშვს, შეიძლება, რამოდენიმე თვის ან წლის მანძილზეც კი ჰქონდეს, მაგრამ მასწავლებელმა და მშობელმა, შეიძლება უკრადდებაც კი არ მიაქციონ; სამწუხაროდ, მშობელი პროფესიონალს მხოლოდ მას შემდეგ მიმართავს, როდესაც ბავშვს პირველი გენერალიზებული კრუნჩხვითი გულეყრა უვითარდება.

ეპილეფსიური გულეყრის ტიპები

ბენერალიზებული ტონურ-კლონური პრუნჩხოლი გულეყრა – ვითარდება მთელ თავის ტვინში გავრცელებული ნეირონული აგზნების გამო. იგი შეიძლება დაიწყოს გონების უცვარი დაკარგვითა და ვარდნით; ზოგჯერ, შეტევას წინ უსწრებს ხანმოკლე „აურა“ (უცნაური ქცევა ან უცნაური

ტონურ-კლონური კრუნჩხვა:

იწყება გონების უცვარი დაკარგვით, ადამიანი მოკვეთილივით ეცემა ძირს, პირქვე, ან ზურგზე. დაცემისთანვე ეწყება ტონური კრუნჩხვა – მთელი სხეული იჭიმება, ადამიანი თითქოს იზმორება, ზოგჯერ დასაწყისში აღმოხდება შემზარავი ხმა. სახე ჯერ ფერ-მკრთალია, შემდეგ მოლურჯო-წითელი ფერის, სუნთქვის გამნელების გამო. კრუნჩხვის ეს პირველი ფაზა დაახლოებით 1 წუთამდე გრძელდება და თანდათანობით გადადის მეორე- კლონურ ფაზაში. ამ დროს ადამიანი იწყებს თავის და კიდურების მოხრა-გაშლის ხასიათის რიტმულ მოძრაობებს, უწესრიგო სუნთქვას ხმაურით, ხროტინებს, პირიდან გადმოდის დუჟი, ხანდახან სისხლიანი (ენის მოკვნეტის გამო). ამ დროს ხშირია უნებლიერი შარდვა, დეფეკაცია. სხეული უხვი ოფლით იფარება, იცვლება სხეულის ტემპერატურა – მატულობს, ან კლებულობს. ბავშვებში ხშირია გულეყრის შემდეგ პირდებინება. მთლიანი გულეყრა მაქსიმუმ 5 წუთამდე გრძელდება, თუმცა ბავშვებში შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს – 10 წუთი. მისი დამთავრების შემდეგ ადამიანი ძილს მიეცემა. რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო ხანმოკლე და ღრმაა ძილი.

გაღვიძების შემდეგ ადამიანს არაფერი ახსოვს, გაბრუებულია, დაღლილი,

შეიძლება პქონდეს თავის ტკივილი.

რა ნიშნებით უნდა მივიტანოთ ეჭვი ეპილეფსიური გულყრის არსებობაზე?

- ბავშვი აშტერებს მზერას და არ რეაგირებს მიმართულ მეტყველებაზე ან შენიშვნაზე;
- ხანმოკლე დროით აბნეულია, ან გაურკვევლად მეტყველებს;
- აქვს თავის უეცარი ჩაქინდვრები;
- კუნთების ტონუსი უცაბედად უქვეითდება, სხეული უდუნდება;
- აქვს ქუთუოვების ხამხამის ხანმოკლე ეპიზოდები, თვალის კაკლების ზემოთ მოძრაობა;
- მერხთან ჯდომისას უეცრად შეხტება, ხელიდან უვარდება საგანი;
- აქვს პირის და სახის მოძრაობები, რომელთაც თან ახლავს სახის „ცარიელი“ გამომეტყველება;
- აქვს უაზრო, უმიზნო ქცევა, არააღეპვატური განმეორებითი მოქმედებები;
- აქვს ხელების, ან ფეხების კრუნჩევები;

ასეთი ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში მასწავლებელმა დედას უნდა ურჩიოს, ბავშვი კონსულტაციაზე მიიყვანოს ეპილეფტოლოგთან.

კურადღება მიაქციეთ შემდეგს:

გულყრამდე შეიძლება იყოს რაიმე დამახასიათებელი ქცევა, ან ნიშნები: დაღლილობის, სისუსტის შეგრძნება, აგზება, შიში, თავის ტკივილი და სხვა. გულყრის შემდეგ ხშირია გაბრუება, ძილიანობა.

რა უნდა გააქციოთ?

- შეინარჩუნეთ სიმშვიდე. მაშინვე გაუთავისუფლეთ ადგილი და უსაფრთხოებისათვის მოაშორეთ მჭრელი, მძიმე, ან ელექტრო საგნები.
- შეუსეေიო საყელო.
- თავქვეშ დაუდეო რაიმე რბილი საგანი. ბავშვი დააწვინეთ და თავი ისე დაადებინეთ გვერდზე, რომ სუნთქვას არ უშლიდეს.
- ნუ ეცდებით ფეხების და ხელების დაჭერას, პირში რაიმეს ჩადებას, წამლის მიწოდებას.
- დაელოდეთ როდის მოვა გონჩე სრულად, დაამშვიდეთ, მოეფერეთ.

აბსანსი:

ბავშვის მზერა თითქოს გაფინულია, სახის გამომეტყველება ისეთი აქვს, თითქოს არ ესმის მის გარშემო რა ხდება; ამ დროს შეიძლება თვალებს ახამხამებდეს. გულყრა მიმდინარეობს რამდენიმე წამი და ბავშვი სწრაფადვე გამოდის მდგომარეობიდან.

კურადღება მიაქციეთ შემდეგს:

ბავშვმა არ იცის, თუ რა ემართება. მისი მდგომარეობა ადვილად შეიძლება მივაწეროთ უყურადღებობას, გაფანტულობას, ოცნებას.

რა უნდა გააკეთოთ?

გაგებით მოეკიდეთ ბავშვის ასეთ "სადღაც წასვლას". გაუმჯორეთ, რაც გამოტოვა იმ მომენტში. ჩაინიშნეთ რა სიხშირით ემართება ეს ბავშვს გაკვეთილზე.

პარციალური

აგზნება ვრცელდება ტვინის მხოლოდ ნაწილზე

მარტივი პარციალური:

ბავშვმა შეიძლება შეიგრძნოს უცნაური სუნი, ხმაური, მბრწყინავი, ან ფერადი წერტილები, ჰქონდეს სხეულის უცნაური შეგრძნებები, ან ხელის, თუ ფეხის უნგბლივ მოძრაობები. ხანდახან ასეთი ნიშნები შეიძლება შემდგომი ტონურ-კლონური, ან როული პარციალური გულყრების დაწყების მაჩვენებელი იყოს.

კურადღება მიაქციეთ შემდეგს:

ამ დროს ცნობიერება ხათელია. ბავშვი აცნობიერებს, თუ რა მოხდის, მავრამ კერ ახერხებს მის შეჩერებას.

რა უნდა გააკეთოთ?

იყავით ბავშვის გვერდზე და გაამხხევთ.

რთული პარციალური:

შეიძლება დაიწყოს დამახასიათებელი „აურით“: მხედველობითი, სმენითი,

გემოვნების, შეხების შეგრძნებებით. თითქოს ჩანს, რომ ბავშვი ცნობიერებაზეა, მაგრამ შეიძლება არააღეპვატურად მოიქცეს, ან გიპასუხოთ. მას შეიძლება ჰქონდეს სტერეოტიპული მოძრაობები (ნერწყვის ყლაპვა, ტუჩების წყლაპუნი, თითებით ქებნითი მოძრაობები და ა.შ.).

კურადღება მიაქციეთ შემდეგს:

შეიძლება ადგილი ჰქონდეს ირაციონალურ, არააღეპვატურ ქცევას, რაც ხშირად აღიქმება როგორც ქცევის დარღვევა.

რა უნდა გააკეთოთ?

ამ დროს ბავშვს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ; ესაუბრეთ მშვიდად და დაწყნარებით. წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ, არ დაუყვიროთ. ეცადეთ მოაშოროთ საფრთხეს და უსაფრთხო აღგილას მოათავსოთ. იყავით მასთან მანამ, სანამ სრულად არ დაუბრუნდება ცნობიერება.

რა არ უნდა გააკეთოთ პირველადი დახმარების აღმოსაჩენად?

გენერალიზებული ტონურ-კლონური გულყრა 3-დან 5 წელიამდე გრძელდება. ამ შემთხვევაში დაუშეგებელია:

- პირის ძალდატანებით გახსნა მყარი საგნებით;
- წელის, მედიკამენტების ან საკვების მიწოდება;
- პაციენტის გაგავება, თავის წამოწევა, წამოჯენა;
- ენის დაჭერა;
- მძაფრი სასუნთქებლის (მაგ. ნიშადურის) გამოყენება;
- სახეზე ნაჭრის გადაფარება;
- ტკივილის მიყენება (ჩხვლებია და ა.შ.);
- გულყრის შემდეგ ბავშვის გამოფხიზების მცდელობა;
- გულყრის შემდგომი აგზებისას ბავშვის ძალდატანებით დამშვიდება.

როგორც წესი, ექიმის გამოძახება საჭირო არ არის. მაგრამ, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აუცილებელი ხდება, როდესაც:

- გულყრა არ მთავრდება 5 წეთის შემდეგაც;
- ერთ გულყრას მაშინვე მეორე მოსდევეს;
- ბავშვი გონზე არ მოდის 20 წეთის გასვლის შემდეგ;
- აქვს გახანგრძლივებული პირდებინება;

როგორ ვასწავლოთ ეპილეფსიის მქონე ბავშვს?

ეპილეფსიის მქონე ბავშვების უმრავლესობა არ განსხვავდება თანატოლებისაგან სასკოლო მიღწევებით, ბევრიც წარმატებით სწავლობს; ზოგიერთ მათგანს კი შეიძლება შემდეგი პრობლემები ჰქონდეს:

- სანმოკლე სმენითი და მხედველობითი მეხსიერების;
- უერადდების კონცენტრაციის და გადანაცვლების;
- ჰიპერაქტივობის და მოუსვენრობის;
- ხელის და თვალის კოორდინაციის;
- მოტორული კოორდინაციის და მოტორული ჩვევების;
- სივრცითი ანალიზის და სინთეზის;
- მოყოლის, წინადადებებში აზრის ჩამოყალიბების;
- მეტვეველების.

აღნიშნული სირთულეები ქმნის გარევეულ დაბრკოლებებს აკადემიური ჩვევების დაუფლებაში: წერის, კოთხვის, ანგარიშის. ასეთ დროს მასწავლებელი:

- აკვირდება მოსწავლეს, მის შეცდომებს, იკვლევს ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- ესაუბრება მშობელს ბავშვის პრობლემებთან დაკავშირებით, იღებს მისგან ინფორმაციას, თუ როგორ ამზადებს ბავშვი გაკვეთილებს სახლში, როგორ ურჩევნია დასწავლა;
- მშობლის თანხმობით მიმართავს სკოლის ფსიქოლოგს დიაგნოსტიკის მიზნით;
- იღებს ინფორმაციას სკოლის ფსიქოლოგისაგან ბავშვის განვითარების დონის, მისი უნარების და შესაძლებლობების შესახებ და მოსწავლის სწავლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შემუშავდეს;
- მშობელს აცნობს სპეციალური დაგალებების დანიშნულებას და ხასიათს, მათი შესრულების პროცედურას და ინსტრუქციებს.

ეპილეფსიის მქონე ბავშვს შეიძლება ჰქონდეს **ძლიერი და ემოციური პრობლემები.**

ქცევითი პრობლემები შეიძლება დაკავშირებული იყოს ჰიპერაქტივობასთან, ანტიკონტრულსანტების მოქმედების გეერდით ეფექტებთან, ოჯახის წევრების არასწორ დამოკიდებულებასთან დაავადებული ბავშვის მიმართ; ხშირია, როდესაც გულყრის შიშით მშობლები ცდილობენ ბავშვს ეველა სურვილი შეუსრულონ, ზედმეტად იზრუნონ მასზე.

ქმოციური პრობლემები: ეპილეფსიის დროს ხშირია მაღალი შფოთვა, ოჯახის წევრებზე ზედმეტად დამოკიდებულება, დაბალი თვითშეფასება, აგრესიული რეაქციები, დაბალი მოტივაცია, საკუთარი განსხვავებულობის მძაფრი განცდა, ჩაკეტილობა, შეში, იმედგაცრუება (ფრუსტრაცია). მათი აღმოცენება პირველ რიგში დამოკიდებულია ოჯახის წევრების მიერ ეპილეფსიის მქონე პიროვნების აღქმაზე, მისი და ოჯახის წევრების, სკოლის კოლექტივის წარმოდგენებზე ეპილეფსიის შესახებ. მშობლების და მასწავლებლების განწყობები მნიშვნელოვანი განვითარებულია განვითარებული მიერ საკუთარი თავის აღქმას, მის თვითშეფასებას.

ბავშვისათვის ბევრად უფრო საშიში და დამაზიანებელია მისი იზოლაცია ეპილეფსიის გამო და მისთვის არაადეკვატური გარემოს შექმნა, კიდრე ეპილეფსიით გამოწვევლი ფიზიკური პრობლემები.

პირველ რიგში, ამოიდეთ ხმარებიდან დამამცირებელი სიტყვა „**ეპილეფტიქია**“: უმჯობესია გამოიყენოთ ტერმინი **ეპილეფსიის მქონე პიროვნება**. თქვენზე, როგორც მასწავლებელზე ბევრადაა დამოკიდებული ეპილეფსიის მქონე ბავშვის პიროვნების ნორმალური, ჯანმრთელი განვითარება.

უურადღების ცენტრში უნდა იყოს ბავშვი და არა მისი ეპილეფსია!

- ყოველთვის წაახალისეთ ბავშვი დავალების შესრულებისას.
- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ვერ ასრულებს დავალებას, აუსენით შეცდომა, აჩვენეთ და სხვეოვთ გაიმეოროს.
- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ვერ ასრულებს დავალებას თქვენი ახსნის შემდეგ, გააკეთეთ დავალება ერთად, თქვენი კარნახით; ამის შემდეგ დადგებითად შეაფასეთ ბავშვი და წაახალისეთ დამოუკიდებლად გააკეთოს იგივე დავალება.
- თუ ბავშვს გულყრა კლასში დაემართება გაკვეთილის მსგლელობის დროს, დაამშვიდეთ სხვა ბავშვები; უთხარით, რომ ეს არ არის მათი კლასელის სიცოცხლისათვის საშიში და მალე კარგად გახდება. ოპერატორულად აღმოუჩინეთ პირველადი დახმარება (ისე, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი).
- გონზე სრულად მოსვლის შემდეგ, ბავშვს უხერხელობისა და სირცევილის განცდა აქვს. ეს დაკავშირებულია დიდი გულყრების დროს უნებლივ შარდვასთან, გაძლიერებულ ნერწყვის დენასთან და ა.შ. დარჩით ბავშვთან, დაეხმარეთ მოიწესრიგოს თავი და დაამშვიდეთ. ნუ მოახდენთ ფაქტის იგნორირებას! ბავშვისათვის გამადიზიანებელია, როდესაც ისე იქცევით, თითქოს არაფერი მომხდარა. პირიქით, დაელაპარაკეთ იმაზე, რასაც გრძნობს და განიცდის.
- აუცილებელია მოძებნოთ დრო და კლასელებს აუსენათ, თუ რა ემართება ბავშვს; აგრეთვე ის, რომ სიცოცხლისათვის ასეთი მდგომარეობა არ არის საშიში. სასურველია მიაწოდოთ ეპილეფსიის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია: რა არის, რა მიზეზები იწვევს, რა არის გულყრა და ა.შ. ბავშვები ადვილად იგებენ მარტივი და გასაგები ენით გადმოცემულ ინფორმაციას. შემდეგ სასურველია მოაწყოთ დისკუსია, უპასუხოთ მოსწავლეთა შეკითხვებს; მიეცით მათ საშუალება გამოხსატონ საკუთარი განცდები და დამოკიდებულება იმის შესახებ, რაც მოხდა კლასში ბავშვის გულყრის დროს.
- აუცილებელია ეპილეფსიის მქონე ბავშვს პეითხოო, სურს თუ არა დაესწროს ასეთ დისკუსიას და საინფორმაციო საუბარს. თუ ბავშვი არ ესწრება ასეთ შეხვედრას, უნდა უზრუნველყოთ მისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება ასეთი შეხვედრის შესახებ.
- მიიღეთ რაც შეიძლება მაქსიმალური ინფორმაცია ეპილეფსიის შესახებ ექიმისაგან, ეპილეპტოლოგისაგან, ნეიროფსიქოლოგისაგან. ეს საშუალებას მოგცემთ ბავშვებს მათთვის გასაგები ენით აუსენათ, თუ რა არის ეპილეფსია და როგორ უნდა დავეხმაროთ ადამიანს გულყრის დროს.

ხშირად უცნობია გულერის გამომწვევი მიზეზი, თუმცა გულერის პროგოცირება შესაძლებელია შემდეგი ფაქტორებით:

- წამლის არარეგულარული მიღება
- ძლიერი შფოთვა
- სტრესი
- უძილობა
- მენსტრუაცია
- კაშკაშა, მოციმციმე სინათლე.
- ანგარიში, კითხვა, ჭადრაკის, ან კარტის თამაში